№ 184 სექტემბერი 1, სამშაბათი 1892 1, სამშაბათი № 184

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

გაზეთი ღირს

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

...რის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ...ეწერდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქ...კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ...ის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახ...ში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგა...ის კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1892 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1892

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სასწავლებელი და პანსიონი

## ჯორჯიკიასი

(ქუთაისში)

გიმნაზიის, პროგიმნაზიის, რეალურ და სხვა სასწავლებლების პირველ და მოსამზადებელ კლასში მომზადებისათვის აიღებს სამ-სამს მანეთს თვიურად. პანსიონერებს შენახვისა და სწავლისათვის გადაახდევინებს წლიურად 180 მან. სასწავლებლის პანსიონში შეუძლიანთ იქონიონ ბინა და სწავლაში დახმარება გიმნაზიის და პროგიმნაზიის მოსწავლეთაც. მეორე, მესამე და სხვა კლასებში მომზადებისათვის მეტსაც აიღებს. ვისაც პანსიონში შვილის მიბარება ან დატოვება უნდა, საჭიროა ოც აგვისტოდგან პირველ სექტემბრამდე შეგვატყობინოს (ტფილისის ქუჩა, საკუთარ სახლში).

(20—103—14)

ყოველ დღე მიიღება „ივერიის“ რედაქციაში შემოწირულებანი სოფლად ხოლერით დაზარალებულთა სასარგებლოდ.

### ოფიციალური ცნობანი ხოლერის შესახებ.

28 აგვისტოს ავად გახდა და სახლში სწამლობენ ქალია ოსეფოვისას (7 ნაწ., ციციანოვის ქუჩა, № 10).

29 აგვისტოს ხოლერის საეჭვო ნიშნებით ავად გახდა იაკობ კობიაშვილი (8 ნაწ., მეტეხის ქუჩა, სახ. მელიქ-ნუბაროვისა) და გარდაიცვალა 30 აგვისტოს. გარდაცვალებულის გვამი სენის გამოსარკვევად საანატომიო თეატრში გაიგზავნა.

მანგლისში 28 აგვისტოს პირველი შემთხვევა იყო ხოლერით ავად გახდომისა.

სიღნაღის მაზრის ექიმი იუწყება, რომ სოფლებს ქვემო და ზემო-მაჩხაანში 15-დგან 21 აგვისტომდე ავად ალარავინ გამხდარაო. სოფ. ჯუგაანში 19 ეგვისტოს ავად გახდა 4, გარდ. 2; სოფ. თიბაანში 16 აგვისტოს შემდეგ ალარავინ გამხდარა ავად; სოფ. ბოდბისხევში 19 აგვისტოს ავად გახდა 2, გარდ. 2.

ახალქალაქის მაზრის უფროსი იუწყება: 28 აგვისტოს სოფლებში ავად გახდა 16, გარდ. 9, მორჩა 20, დარჩა 78; ქალაქში ავად გახდა 1, გარდ. 1, დარჩა 2.

გორის მაზრის უფროსი იუწყება: 22-დგან 25 აგვისტომდე ბორჯომში ალარავინ გამხდარა ავად, გარდ. 1; დიდ-მეჯვრისხევში ავად გახდა 2, გარდ. 1; ოძისში ავად გახდა 1, გარდ. 1; გვერინეთში ავად გახდა 7, გარდ. 2; მორჩა 2, დარჩა 3. 27 აგვისტოს გორში ავად გახდა 1, გარდ. 1. 22-დგან 26 აგვისტომდე სოფ. ოძისში ავად გახდა 2, გარდ. 2; ქვეშში გარდ. 1; პატარა მეჯვრისხევში ავად გახდა 3, გარდ. 2; კირბალში ავად გახდა 1; ტყვიავში ავად გახდა 7, გარდ. 2, დარჩა 5; სოფ. ქალაში 9-დგან 26 აგვისტომდე ავად გახდა 11, გარდ. 6, მორჩა 3.

ახალციხის მაზრის უფროსი იუწყება 26 აგვისტოს: ქ. ახალციხეში 25 აგვისტოს იყო 52 ავადმყოფი, ამ დღეს ავად გახდა 26, გარდ. 11, მორჩა 7, დარჩა 60. მე-150 ტამანის რაზმში იყო 39 ავადმყოფი, 25 აგვისტოს ავად გახდა 4, გარდ. 2, დარჩა 41; 26 აგვისტოს ახალციხეში ავად გახდა 27, გარდ. 2, მორჩა 9, დარჩა 75. ტამინის რაზმში ავად გახდა 5, გარდ. 2, დარჩა 44; 27 აგვისტოს ახალციხეში ავად გახდა 17, გარდ. 3, მორჩა 16, დარჩა 69. ტამანის რაზმში ავად ალარავინ გამხდარა, სულ 44 ავადმყოფია. 28 აგვისტოს ახალციხეში ავად გახდა 15, გარდ. 5, მორჩა 16, დარჩა 63; ტამანის რაზმში ავად გახდა 1, გარდ, 1, დარჩა 44-ვე. 29 აგვისტოს ახალციხეში ავად გახდა 9, გარდ. 5, მორჩა 27, დარჩა 40; ტამანის რაზმში ავად ალარავინ გამხდარა, გარდ. 2, მორჩა 14, დარჩა 28.

ბორჩალოს თავად-აზნაურობის წინამძღოლი თ. ორბელიანი იუწყება, რომ წალკას სოფლებში 13-დგან 27 აგვისტომდე ავად გახდა 172, გარდ. 55, მორჩა 25, დარჩა 121.

დუშეთის მაზრის უფროსი იუწყება 26 აგვისტოს: 25 აგვისტოს ხოლერით ავად გახდა ქ. დუშეთში სამსახურის გამო სოფლებში წასული და უკანვე დაბრუნებული აქციზის ერთი კონტროლიორი, რომელიც 26 აგვისტოს გარდაიცვალა; მლეთის სადგურზედ 24 აგვისტოს გარდაიცვალა გზად მიმავალი ქალი, რომელიც ბაქოდგან მოდიოდა.

## ახალი ამბავი

*** 26 აგვისტოს ბაქოს სამხედრო სამკურნალოში ავად იყო 7; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 22, გარდ. 10, მორჩა 1, ავად არის 23.

განჯის გუბერნიაში ავად გახდა 21, მორჩა 3, გარდ. 5, ავად არის 85.

ქუთაისის გუბერნიაში ავად გახდა 4, მორჩა 4, ავად არის 30.

ერევანში 24 აგვისტოს ავად გახდა 3, გარდ. 2, მორჩა 9, ავად არის 31; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 33, გარდ. 20, მორჩა 195, ავად არის 508.

შურაში 26 აგვისტოს ავად იყო 3; მთელს ოლქში ავად გახდა 75, გარდ. 34, მორჩა 86, ავად არის 521.

ყარსში ავად გახდა 10, მორჩა 13, გარდ. 4, ავად არის 82; მთელს ოლქში ავად გახდა 64, მორჩა 47, გარდ. 13.

სტავროპოლში ავად გახდა 15, გარდ. 5, მორჩა 1; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 615, გარდ. 262, მორჩა 428.

ზაქათალის ოლქში ავად გახდა 8, მორჩა 8, გარდ. 2 ავად არის 40.

*** ტფილისის პოლიცმეისტერის ბრძანებით დაიკეტა 26 აგვისტოდგან ის აბანო, რომელიც იჯარით ვასილ გოზალოვსა ჰქონდა აღებული თ. ბებუთოვისაგან, ვარანცოვის ქუჩაზედ, მეექვსე ნაწილში, რადგანაც ამ აბანოში უბანავნია ირზა-მამად-მირზა ოღლის და შემდეგ ხოლერით გამხდარა ავად და გარდაცვლილა კიდეც.

*** პანასევიჩისა, ნიკოლოოზისა და რიყის ქუჩების სახლის პატრონებმა სთხოვეს ქალაქის გამგეობას, ნება მოგვეცით, ჩვენ ქუჩებში არხები გავიყვანოთ უსუფთაობისთვისაო.

*** დღეს, საღამოს $7^1/_2$ საათზედ, კავკასიის საიმპერატორო საზოგადოების მორიგ კრებაზედ წაკითხული იქმნება სხვათა შორის ბ-ნთ ე. გაუდელინისა და მ. რეხტზამერის მოხსენება ხოლერის შესახებ ტფილისში ამა 1892 წელსა. მოხსენება შედგენილია ტფილისის მიხეილის სამკურნალოს ცნობებით.

*** 27 აგვისტოს ტფილისის მეორე ნაწილის მომრიგებელმა-მოსამართლემ გაარჩია საქმე ყასაბის დარჩო დივანოვისა, რომელიც იარმუკაზედ ვაჭრობს, ამიროვის სახლში. დივანოვს ბრალდებოდა, მუშტარს უზრდელად უარი უთხრა, ცხვრის ხორცის „უდავესკოდ“ გაყიდვაზედ. მომრიგებელმა მოსამართლემ დარჩო დივანოვი 30 მანათით დააჯარიმა.

*** ქალაქის მოურავმა 26 აგვის-

## ფელეტონი

### ყოველ თთვიური პროვინციალისა.

#### ივლისი

(წერილი გურიიდგან)

ივლისი, სიცხე-პაპანაქების გარდა, იმითია შესანიშნავი, რომ ამ თთვეში, საცა გინდა და არ გინდა, ყოველგან ბაზრობა იმართება ჩვენში. წელსაც, როგორც მოსალოდნელი იყო, ვერაფერმა შეუშალა ხელი და გაიმართა ბაზრობა, პირველად საჯაოხოს. შემდეგ ოზურგეთს და ბოლოს ნაგომარში. საჯაოხოსა და ნაგომრის ბაზრობის ამბავი წინა წლებში არა ერთხელ და ორჯელ დაწერილა „ივერიაში“ და ამიტომ ამაების შესახებ აღარაფერს ვიტყვით. დაგვრჩა ოზურგეთის ხელად შეხანხლული და გამომცხვარი იარმუკა, რომელიც მრავალის მხრით იყო შესანიშნავი და საყურადღებო. რასაკვირველია, იკითხავთ, რით იყო შესანიშნავიო. რითა და მითი, რომ იარმუკა, როგორც ქვეყანას ეუწყა, ახალი იყო და სიახლე არაფერში ეტყობოდა. ამას გარდა ამ იარმუკაზედ მოვაჭრენი ე. ი. გამყიდველნი მეტი იყვნენ მუშტრებზედ ე. ი. მყიდველებზედ, ხოლო ერთსაც და მეორესაც სავაჭრო ფარდულების რიცხვი ბევრად აღემატებოდ. ეს კიდევ არაფერი. მთელმა იარმუკამ ისე ჩაიარა, რომ მყუდროება და წესიერება ოდნავადაც არ შერყეულა. ეს ყოვლად სანატრელი ამბავი იმას თუ მიეწერება, რომ უმუშტრობის გამო მოვაჭრენი ძილსა და განსვენებაში ყურჭუმელაობდნენ და ხომ მოგეხსენებათ, ძილი მყუდროების დიდი ხელ-შემწყობი და ქომაგია. ყოველსავე ამას ისიც დაუმატეთ, თუ რა ამბავმა და გარემოებამ გამოიწვია ამ იარმუკის დაარსება და მაშინ უეჭველად ხელს მომიწერთ იმის შესანიშნავობაზედ. ეს ამბავი ცოტა გრძელია და ნურას უკაცრავად თუ ლაპარაკიც გრძლად მოგვივიდეს.

ამ ხუთისა თუ ექვსის წლის წინად გურიაში ხმა გავარდა, რომ ნაგომრის იარმუკა ოზურგეთში გადააქვთო. ამ ხმაზედ გურიის მკვიდრთა უმეტესობა შეწუხდა და შეფიქრდა. სიმართლე უნდა ვსთქვათ, რომ ეს ამბავი შესაწუხებელიც იყო და შესაფიქრებელი ხომ უფრო. სახუმრო საქმე ხომ არ იყო ნაგომრის იარმუკის თავის ალაგიდამ დაძვრა? ჯერ ერთი, რომ ამ იარმუკას თავის ისტორიული წარსული აქვს და ხომ ცხადზედ უცხადესია, რასაც ხალხი ისტორიულად შესჩვევია და შესისხლ-ხორცებია, იმის გადაჩვევა ძნელია. მეორედ ამაზე არა ნაკლებ საყურადღებო ის გარემოებაა, რომ ნაგომარი შუა ალაგია გურიისათვის და მაშასადამე თითოეულის სოფლისათვის, თითოეულის მკვიდრისათვის თანაბრად ხელ-მისაწვდენი. მესამედ იარმუკის აზრი და დანიშნულება ის არის, რომ იქ გაიმართოს, სადაც მკვიდრნი ქალაქზედ დაშორებულნი არიან და არ შეუძლიანთ თავიანთი ნაწარმოები გაასაღონ და სხვებისა შეიძინონ, ხოლო ნაგომარი, რომ სწორედ ასეთი ალაგია, ამის წინააღმდეგს, ვგონებ, ვერავინ ვერაფერს იტყვის. ყოველივე ეს, რომ ვიგულისხმოთ და ერთმანერთს შევუფარდოთ, რასაკვირველია, იმ დასკვნამდე მივალთ, რომ ნაგომრიდგან იარმუკის გადატანა ბევრნაირად შეუფერებელი და საზარალოა. ალბად ეს შეუფერებლობა, ეს მოსალოდნელი ზარალი დაინახა მაშინდელმა მთავრობამ, რომელმაც ოზურგეთელებს ამ შეუსაბამო თხოვნაზედ უარი უთხრა. წელს არ ვიცი რა გონიერი მოსაზრების გამო კვლავ გააღვიძეს ეს მიძინებული ამბავი და იმედობდნენ კიდეც ოზურგეთელები, რომ ნაგომორს ნაცარ-ტუტას ავადენთო, მაგრამ ძალამ ქადილს ველარ შესწია და ხელახლად გაუბათილდათ თხოვნა. ამ ნაირად ეს განზრახვა ჩაეფუშათ და ახლა სხვა ხერხს მიჰმართეს; გამოითხოვეს ცალკე იარმუკის დაარსების ნებართვა იმავე დროს, რაც რდოსაც ეს ნაგომარშია. ამ შემთხვევაში, რა საკვირველია, ის ჰქონდათ სახეში, რომ ნაგომრისათვის შეეშალათ ხელი, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ანგარიშშიაც მოსტყუვდნენ. მთავრობამ და კანონმა ამ საქმეს უფრო-ღვთისნიერი თვალით შეხედა: ბაზრობის გამართვაზედ ნება დართო, დრო-კი სხვა დაუნიშნა. ასე და ამ ნაირად გათავდა ეს უსიამოვნო ბრძოლა. ჰიდილი, რომელიდამაც უკმაყოფილოდ ოზურგეთი გამოვიდა და თავის უკმაყოფილება იმით გამოაცხადა, რომ ნაგომრის იარმუკაზედ ოზურგეთის მოვაჭრეთაგან ჩვეულებრივ აღარავინ მოსულა და ამას გარდა დილიჟანსი აღარ გაჰგზავნეს კიდევ ნაგომორში, როგორც წარსულ წლებში იქცეოდნენ, რომ მუშტართა მოძრაობას ნაგომარში ხელი შევუშალოთო. სირცხვილია ასეთი შური და ქიშპი, სათაკილოა ასეთი როლის თამაში, მაგრამ რას იზამთ, როცა დრომ ისე გაადუხჭირა და გააუკუღმართა ადამიანის ზნეობა, რომ სათაკილო აღარ ეთაკილება თავის აზრის გასახორციელებლად. სწორედ ასე იქცევა ოზურგეთი, რომელიც გაიძახის, ბაზრობა იმიტომ გვინდა, რომ ქალაქს შემოსავალი მოემატოსო. კარგი და პატიოსანი! მაგრამ ბაზრობასაც ხომ თავის ალაგი, თავის დანიშნულება აქვს და ვისი რა ბრალია, თუ ამ ალაგისა და დანიშნულებისათვის ოზურგეთი არ ვარგა. მართალია, ოზურგეთი სამაზრო ქალაქია, მაგრამ გურიისათვის განაპირა ადგილია და მაშასადამე უმეტესობისათვის ხელ-მიუწვდენელი. ჩვენს იარმუკებზედ უფრო ღარიბი და ხელმოკლე ხალხი დადის, რომელიც საკუთარის ზურგით ეზიდება ნაყიდ საქონელსაც და გასაყიდსაც და, რაღა თქმა უნდა, ამ გვარი ხალხისათვის შორეული ბაზარი უმნიშვნელოა.

თუ ოზურგეთს ქალაქის შემოსავლის გადიდება ეწადა და სწადია, სხვა რამ ღონე უნდა ეღონა და რაა

ტოს გადასცა ტფილისის გუბერნატორს თხოვნა უმართებულეს სენატში გასაგზავნად. ქალაქის მოურავი სთხოვს სენატსა, რომ გაუქმებულ იქმნას გარდაწყვეტილება სამხედრო საბჭოსი, რომელმაც უარი სთქვა ჯარიმა გარდიხადოს იმ სახლის დაფასების გარდასახადის უდროოდ შეტანის გამო, რომელშიაც იმყოფება კავკასიის ჯარების უფროსი.

*** ჩვენს გაზეთში გვქონდა დაბეჭდილი, რომ კონსტანტინე თავართქილაძეს, რომელსაც ქ. ოზურგეთში აქვს წიგნის მაღაზია, განზრახვა აქვს, დ. ახალ-სენაკშიაც 15 სექტემბრიდგან წიგნებისა და სასწავლო ნივთების მაღაზია დაეარსებინა. ვაუწყებთ ჩვენს მკითხველებს, რომ ეს მაღაზია 10 სექტემბერს დაარსდება.

*** სამტრედია: სამტრედიის ვაჭართა და ბლაღოჩინის კანდელაკის თაოსნობით აქაც დაარსდა უფასო სახაიე. გარდახდილი იქმნა აგრეთვე ბლაღოჩინის მიერ პარაკლისი ხოლერისაგან გადარჩენისათვის.

*** სოფ. მეტეხი: წრევანდელი წლის სტუმრის—ხოლერის დასახვედრად, ყველა მზადებას შეუდგა. ჩვენმა სოფელმაც ჩვეულებრივ ძილისაგან ძლივს გამოიღვიძა და შეუდგა მზადებას, რომ წესიერად დაუხვდეს ამ დაუპატიჟებელს სტუმარს. ამ თთვის პირველს რიცხვებში ბ-ნმა ა. მ. ორჯელ შეკრიბა ხალხი ეკკლესიის გალავანში, დარიგება მისცა, როგორ უნდა მოიქცეთ ამ სენის ასაცილებლადაო. წაუკითხა და აუხსნა „ივერიის“ 1 აგვისტოს ნომრიდგან ხოლერის წამლობა. შემდეგ ბ-ნმა ა. მ. სთხოვა ხალხს, ფული შეაგროვეთ, რომელიც საჭიროა სადეზინფექციო წამლებისათვის, დარაჯების დასაყენებათ და ხოლერით გარდაცვალებულთათვის ურმის დასაჭერად. თუმცა ჩვენ სოფელში ორი კაცი მოკვდა: ზაქარია მეჯაძე და ალექსი კოდანაშვილი, მაგრამ ამათ ხოლერა ახალქალაქში შეხვდათ. ეს ორი მიცვალებული მამასახლისის თაოსნობით ისე დაიმარხა, რომ ხოლერა, გარდა მათ შინაურობისა, არავის შეხვედრია, რომლებიც ჩქარა მოარჩინეს.

*** დ. ხიდისთავი (ოზურგეთის მაზრა). ეს დაბა გუბაზოულის ნაპირად არი გაშენებული და, მართალია, ხიდისთავად იწოდება, მაგრამ ხშირად აქ ხიდისას ვერც თავს ნახავთ და ვერც ბოლოს. მოდიდებული მდინარე თავგასულობს და ხიდს არ ინდობს, რის გამოც გარემო სოფლის მკვიდრნი, რომელთაც დაბასთან რაიმე დამოკიდებულება აქვთ, და თითონ დაბელები დიდს შეწუხებაში არიან ჩაცვივნულნი. დასასრულ, ვგონებ, ამ გაჭირვებას ბოლო უნდა მოეღოს. აქაური მემამულე, ბ-ნი სიო ბერიძე მეთაურობს ამ მდინარეზე მკვიდრისა და სამუდამო ხიდის გაკეთებას და იმედიცაა, სასურველად დაამთავრებს. ამ პატივცემულს კაცს ხიდის-თავის მოვაჭრეთა შორის გაუმართავს ხელის-მოწერა ხიდის ასაგებ ფულის მოსაგროვებლად და, მოვაჭრენიც გულ-გრილად არ დახვედრიან ამ კეთილს-საქმეს. ამასთანავე ბ-ნ ბერიძისათვის გუბერნატორსა და მაზრის უფროსს აღუთქვამთ, რომ ახლომახლო სოფლის მკვიდრთ დაგახმარებთ ხიდის კეთებაზეო. თუ ეს აღთქმა ასრულდა, მაშინ ფულად, ბ-ნ ბერიძის ანგარიშით, ხუთასი თუმანი კიდევ მოუნდება ხიდის აგებას. ამ კეთილი საქმისათვის ხელის-მოწერით სულ 474 მან. შესდგა.

*** ქ. გორი: 7 აგვისტო. ხოლერა განელდა. ახლა დღეში 3—4 კვდება, ხან ნაკლებიც, მაგრამ რა გამოვიდა! თუ ამ წელში აღარ გამძვინვარდება და სრულიადაც მოისპობა აზიური ხოლერა მთელ ქვეყანაზედ, გორში მაინც არ გამოილევა holera nostras—გორის ადგილობრივი ხოლერა, და იმძვინვარებს ყოველ წელს იმ დრომდის, ვიდრე ამ წელში დამარხულთ ხოლერით გარდაცვალებულთ სასაფლაოები გაყამირდება. საქმე ის არის, რომ გარდაცვალებულთ გვამი, ღრმად არ იმარხებოდა და ახლა უვიცი ხალხიც-კი, რომელსაც არ ესმის, რა შედეგი აქვს ჰაერის გაფუჭებას, ლაპარაკობს: „ჯოხი რომ ჩაურჭო რომელსაც გინდა საფლავშიო, ორ-სამ მტკაველზედ კუბოს თავს მოხვდებაო“ და სწუხს, რომ, „სხვაც არა იყოსრა, ტურა და მელა დაუწყებს მკვდრებს საფლავიდგან ამოღებასაო“.

ხოლერა განელდა, მაგრამ იმაზედ არა ნაკლებ უბედურებას მოველით—შიმშილით სიკვდილს, რომელიც უფრო საზარელია და ყველასთვის აუცილებელი შეიქმნება. ვინ იჩივლებს იმას, რომ მოსამსახურე აღარავის დაუდგა—არა გვყავდეს მოახლეო, თავი მოიმოახლეო, მაგრამ რაში მოვიმოვახლოთ თავი? შეშა და ნახშირი გორში აღარ შემოაქვთ, რაც ხოლერა გაჩნდა, რომ სასმელ-საჭმელის გაკეთება შეგვეძლოს; ვისაცა ჰქონდა რამდენიმე დღის სამყოფი, იმათაც გამოელიათ. გამვლელ-გამომვლელნი სალამის მაგიერად ერთმანეთს ამასა ჰკითხავენ: „შეშა ხომ არა გაქვს, ან ნახშირი? ცოტაოდენი მასესხეო“.

„კაცო, მე უნდა მეთხოვნა შენთვის და შენ დამასწარიო!“

— „დღეს ჩაი არ დამილევნია უნახშირობითაო“.

— „ჩაი რასა ჰქვიან, ფქვილი მაქვს და უფიჩხობით ვერ გამომიცხვია!“

ბაზარშიაც ძრიელ ძნელია შოვნა პურისა და თუ იშოვება, ისიც იმისთანა, რომ ხელებზედ ეკვრება კაცს, რადგანაც გამოცხობა აკლია. ხშირად ისმის: „წამლებს გვიგზავნიან, გვარიგებენ, ადუღებული წყალი დალიეთო და იმას-კი აღარ გვასწავლიან, თუ რა საშუალებით ავადუღოთ წყალი უშეშა-ნახშიროთაო. თუ სხვაგან არა, გორელებისთვის-კი საჭირო იყო ამისთანა საშუალების გამოგონებაო.

*** ლენქორანი: როდესაც ბაქოში ხოლერა გაძლიერდა, გუბერნატორისაგან მაზრის უფროსს შემდეგი დეპეშა მოუვიდა: „ორას ორმოცდა-ათი თუმანი ლენქორანს მოახმარეთ და ბაზრები და ქუჩები სუფთად შეინახეთო, მაგრამ აქაურს ბაზრებსა და ქუჩებს სისუფთავე არა მიეცარა, მხოლოდ სადაც ქუჩის ნაპირებზედ გაყვანილი არხები იყო, იმ არხებს ცოტა სიღრმე მოუმატეს და იმით დაობებულმა და დახავსებულმა ტლაპომ დაბლა დაიწია; ქუჩებში გამვლელს ნაგავსა და მტვერში ფეხები შიგ ეფლობა და სისუფთავის ნიშანი-კი არა მისცემიარა.

ხოლერა აქ პირველში ბაქოდგან მოსულს რამდენსამე ყაზახს გამოაჩნდა. პოლკის უფროსმა ჟუკოვმა მაშინვე განკარგულება მოახდინა და ავადმყოფთათვის კარავები ქალაქზედ მოშორებით ზღვის პირას გადაატანინა, სადაც ხოლერიანი ავადმყოფნი დააწვინეს, მიუჩინა მომვლელები და მკურნალი. ამ ღონის-ძიებათა წყალობით მთელს პოლკს ექვსის ხაზახის მეტი არ დაჰკლებია.

*** გაზეთ „Нов. Вр.“ სიტყვით პეტერბურგის ქალაქის საბჭო ამ მოკლე ხანში განიხილავს პროექტს იმის შესახებ, რომ კარ-ეზოს მეთვალყურეთ დაევალოს დეზინფექციის მოხდენის შესწავლაო.

*** 30 აგვისტოს ნავთლუღში მტკვარმა გამორიყა 16—17 წლის ვიღაც თათრის ქალის გვამი.

*** 29 აგვისტოს სასახლის ქუჩაზედ ქვრივი 70 წლის მარიამ ყორღანიძისა თავისისავე გაუფრთხილებლობით ეტლს ქვეშ მოჰყვა და მარცხენა ხელი დაიშავა.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი.)

**ს. ხალა** (ბათუმის ოლქი), 5 აგვისტოს. როგორც კინტრიშის ხეობა არის ბუნებისაგან შემკული და დაგვირგვინებული, ისევე ჩაქვის ხეობა. როგორც კინტრიშის ხეობაზედ, ისევე აქაც მაღალი მთიანი ტყეებია, წყაროები. ტყეები სავსეა ვაშლით, მსხალით, ბზით, კაკლით, ბროწეულით და სხვით. სოფლებიც გაბნეულია მთელს ამ ხეობაზედ და ყველგან ქართველი მაჰმადიანები სცხოვრობენ. ყველა სოფელს თავისი ჯამე და ხოჯა ჰყავს. სოფ. ხალის ჯამე მეტად დიდია, ორ-სართულიანი, ქვითკირით არის გაკეთებული; ხოჯას საქადაგებელი მშვენიერის კაკლის ხით არის გაკეთებული, გარს მრავალი ჩუქურთმა აქვს. ხოჯად ამ სოფელში ქართველი კაცია, ხანში შესული, ფანატიკოსი და მოძულე ქართულის ენისა. გვარად მუსტაფ ეფენდი ციცქიშვილი გახლავთ. ჯუმა დღე იყო, მე მიველ, ხალხს ამან ნება არ მისცა წიგნების შეძენისა, შორს დაჯდა და ოსმალურად დიდის წვალებით უთხრა ხალხს, რომ ცოდვა არის მაგის კითხვაო. ერთმა ჰკითხა:

— ხოჯა, რად არის ცოდვა წიგნის კითხვაო.

— მაგრე სწერია ჩვენს ქითაბშიო (წიგნში), მიუგო ხოჯამ და ამას შემდეგ მინარზედ ავიდა „ლა ილაჰეს“ დასაძახებლად. ერთმა სთქვა: რას ამბობს ხოჯა, წიგნის კითხვა რად იქმნება ცოდვაო? ამათში ბევრს სცოდნოდა ქართული წერა-კითხვა.

აქ ქართულს წერას „გურულს“ უწოდებენ და კინტრიშის ხეობაზედ-კი ქართულს. მოლას არავინ ათხოვა ყური და წიგნები ბევრმა წაიღო. ამ სოფლის მახლობელს სოფ. გორგაძნეებში რამდენიმე ქართველი ახალგაზდა მაჰმადიანი აღმოჩნდა ქართულის წერა-კითხვის მცოდნე. ესენიც გვარად გორგაძენი არიან. ამ სოფელში ამათ გვარის 20 კომლი მაინც იქნება, ბევრნი-კი წასულან ოსმალში. მათ მაგიერ აქ გადმოსულან აჭარელი ქართველები და დასახლებულან. ამათ ძალიან ესიამოვნათ ქართულის წიგნების კითხვა. ამათი სოფლის ხოჯა აჭარელია, მცოდნე ქართულის წერა-კითხვისა და თავის მრევლს ურჩევს, რომ ქართული წერა-კითხვა დაისწავლეთო, შემდეგში დაგჭირდებათო.

ჩაქვის ხეობის სოფლების მეორე დიდს ჯამედ სოფ. ჩაქვის თავის ჯამე ითვლება. როგორც სოფელს ხალის ჯამეზედ, ისევე ამ ჯამეზედაც ძა-

---

ბაზრობის დაარსება. მაგალითად შემდეგი საშუალება, თუ დამიჯერებენ, დიდად გაადიდებს ამ ქალაქის შემოსავალს.

აი რა საშუგლება მაქვს მე სახეში: ოზურგეთს ჩვეულებად აქვს გადაქცეული, რომ არც ერთს მოხელეს ისე არ გაისტუმრებს, კარგა ლაზათიანად თუ არ გაუმასპინძლდა ღ თავი არ დაალოცვია. თუმცა კარგია ეს ჩვეულება, თუმცა ოზურგეთიდგან წასულნი მოხელენი პურ-მარილით დახათრიჯამებულნი ცას და ქვეყანას უმტკიცებენ „სიბრძნეს, სიმდიდრეს, სიუხვეს“ ოზურგეთისა, მაგრამ გამოცდილებით ვიცით, რომ არც ლოცვა-სადღეგრძელოს, არც ქება-დიდებას ოზურგეთისათვის ჯერ გროშის საღირელი არაფერი შეუძენია. შეუძენია-კი არა, პირ-იქით ოზურგეთის მკვიდრნი ყოველ-დღე ნივთიერ სიღარიბეზე ჩივიან და წუწუნებენ. დალოცვილებმა დაინახონ და მიხვდნენ, რომ თითოეულს მოხელის გასტუმრება ოც-და-ათ თუმნად მაინც უჯდებათ. ახლა ის იანგარიშეთ, მას აქეთ, რაც ოზურგეთი ქალაქობს, რამდენი მოხელე გადაუყვანიათ იქიდამ, თითოეულ მოხელეზე ოც-და-ათ—ოც-და-ათი თუმანი ჩადით და დაინახავთ, რომ ეს ამოდენა ფული ოზურგეთელებს ქალაქის სასარგებლოდ გამოეღოთ, ქალაქს არა თუ ვალი არ ექმნებოდა, არამედ საკუთარის ხარჯით შეიძლებდა თუ გიმნაზიის არა პროგიმნაზიისთანა სასწავლებლის დაარსებას და შენახვას. აი, მაშინ იქნებოდა სალოცავ-სადღეგრძელო და საქებ-სადიდებელი ოზურგეთი და ამ ქება-დიდებას თავის საფუძველიც ექნებოდა, თორემ უსაფუძვლო ქებას რა თავში იხლით!

იმედია, შემდეგისათვის მაინც გაიგებს ოზურგეთი ამ ყოვლად უბრალო ანგარიშს და ამ გაგების წყალობით ნივთიერად მოღონიერდება. დარწმუნებული უნდა იყოს, ბაზრობა რაგინდ ჩინებულადაც გაიმართოს, ოზურგეთისათვის საზარალო იქნება და არა სასარგებლო.

**

ბაზრობა საზოგადოდ ისეთ ნაირად არის ჩვენში მორთულ-მოწყობილი, რომ სადაც უნდა გაჰმართოთ, ხალხი გაუყვლეფავი და ტყავ-გაუძრობელი მაინც ვერ მორჩება და ვერა. საქმე იმაშია მხოლოდ, რომ უღმერთობა იქმნება ხალხი გაიყვლიფოს და სიარულიც მეტი მოუხდეს. ბევრი უღმერთობა გვინახავს ჩვენებურ ალებ-მიცემობაში, მაგრამ წელს რომ აქაურ აბრეშუმის მწარმოებელთ დაემართათ, ისეთისაგან ღმერთმა მტერიც-კი დაიფაროს. ოყა (სამი გირვანქა) ამოხვეული აბრეშუმი ევროპიული ჯიშისა, რომელიც სხვა დროს 10—12 მანეთად იყიდებოდა, წელს 6—7 მანეთად ჩაიგდეს ხელში გაიძვერა ჩარჩებმა და ურიებმა. ეს ისეთი მცირე ფასია აბრეშუმისათვის, რომ ადვილად შესაძლებელია საგაისოდ არავინ ხელი არ მოჰკიდოს მეაბრეშუმეობას, რომელიც დიდად გავრცელებულიყო ჩვენში და დიდს სარგებლობასაც გვიქადდა, უკეთუ ისე უბედურად არ დატრიალებულიყო მისი საქმე. არ ვიცი რა საშველი და წამალი აქვს ამდენს უპატრონობას ხალხისას. ბ-ნი მაჩხანელი ამ გვარ უბედურებათა უებარ წამლად დეპოს აღვიარებს, მაგრამ ერთი ვიკითხოთ, ვიდრე ჩვენს უთავ-ბოლობას ბოლო მოეღებოდეს, ვიდრე თითოეულ საზოგადოებაში, თითოეულ სოფელში დეპო დაარსდებოდეს, მანამ არავინ უნდა უპატრონოს ღვთის ანაბარად მიგდებულ ხალხს, რომელსაც მიჰსევიან, როგორც ყვავ-ყორანნი ყოველის მხრიდგან და სწიწკნიან! გავკადნიერდებით და ვიკითხავთ, რას აკეთებს ამ შემთხვევაში სამეურნეო საზოგადოება! თუ ასპარეზი მისი მოქმედებისა ისე ვიწროდ არის შემოფარგლული, რომ მარტო აბრეშუმის ჰიის თესლის შეძენით და შემდეგ გაყიდვით აბოლავებს თავის ვალს ერისა და ქვეყნის წინაშე! არ შეუძლიან დავრწმუნდე, რომ ეს ასე იყოს, რომ სამეურნეო საზოგადოების მნიშვნელობა უფრო ზოგადი, უფრო ფართო არ იყოს. უამისობა ყოვლად შეუძლებელია. თუ სამეურნეო საზოგადოებამ სამეურნეო ნაწარმოებს ალაგი არ უჩვენა, ბაზარი არ ისწავლა და ალებ-მიცემობის საგნად არ გახადა, მაშინ ესა თუ ის წარმოება, ჩვენებურ ჩარჩების ხელში ჩავარდნილი სრულიად გაქრება და მით, რასაკვირველია, დაქვეითდება ხალხის ეკონომიური კეთილ-დღეობა. სწორედ ეს სამწუხარო მერმისი ელის ჩვენში აბრეშუმის წარმოებას, თუ დროთი არ მიეშველა კაცი და ჩარჩებმა არ გამოაცალა ხელიდამ იმის ვაჭრობა.

სამეურნეო საზოგადოების გარდა, სოფლის მასწავლებელთაც შეუძლიანთ, თუ ჩვეულებრივ დაფაცურდებიან და უნარს გამოიჩენენ, წამხდარს საქმეს უშველონ. ჯერ ფეხზე დადგომა მეაბრეშუმეობისა ჩვენში იმათი მეოხებით მოხდა და თუ ეხლაც ამ მადლზე მარილს მოაყრიან და აბრეშუმის გაყიდვაში გზას გაუკვლევენ ხალხს —ეს სწორედ დაუვიწყარი ღვაწლი და სამსახური იქმნება. ვგონებ ეს არც იმდენად ძნელი და მოუხერხებელი საქმე იყოს. სოფლის მასწავლებლებმა იციან, ვინ უფრო მისდევს მეაბრეშუმეობას, დადგანაც ჩვენი მეაბრეშუმეები თითქმის მარტო მასწავლებელთა ჩვენებით და საშუალებით იბარებენ აბრეშუმის თესლს. აი, უფრო შეძლებულ და შეგნებულ მწარმოებელთაგან შეიძლება შესდგეს ამხანაგობა სათანადო თანხით. ამხანაგობაში, რასაკვირველია, თითონ მასწავლებლებიც ჩაეწერებიან და მთელი მაზრის აბრეშუმის ალებ-მიცემობას ჩაიგდებენ ხელში. საჭირო იქნება მხოლოდ რომელსამე ან რუსეთის, ან საზღვარგარეთის ქარხანასთან დაიჭირონ საქმე და პირდაპირ იქ გაგზავნონ აბრეშუმი. იმედია, ჩვენი მხნე მასწავლებლები ამ ფრიად საკეთილო საქმეს ითავებენ, ხოლო ჩვენი ცოტად თუ ბევრად შეგნებული ნაწილი თანაგრძნობას აღმოუჩენენ.

დათიკო ვერმიცანაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიან ბევრი ქართველი ხალხი მოდის. ხოჯა აჭარელია, გვარად იმედაშვილი, თათრულად იმამიშვილს უწოდებენ. ამ ხოჯამ ქართული კითხვაც იცის და რამდენიმე ქართული წიგნი თითონ სიამოვნებით გამომართვა, ხალხსაც ურჩია მიღება. ამ ხოჯას „ნადი“ ჰქონდა და ლოცვა ადრე გაათავა. ლოცვის შემდეგ გლეხებმა დაიწყეს ყანაში მუშაობა და ქართული სიმღერები. ოც-და-ათი კაცი იყო და ყველა ესენი რიგიანის შეწყობილის ქართულის ხმით „ნადურს“ მღეროდნენ.

ამ მომუშავე ხალხში რამდენიმე ჩიჯავაძეც ერია, მეფეების დროის აზნაურები, ოსმალის ხელში ალიებად ცნობილნი. ერთი ამათგანი, მოხუცი ჩიჯავაძე, ოსმალოს მთავრობისაგან ვარსკვლავით არის დაჯილდოებული და დღეს ბათუმის მაჰმადიანთ მეჯლისის წევრია, ანუ ყადი. ამის შვილებმა ქართული კითხვა იციან და შემდეგისთვის უფრო უკეთ დავისწავლიდით, რომ აქამდის წიგნები გვქონოდაო, სთქვეს: ჩვენ ქართული წიგნები ნახვით-კი არა და გაგონებითაც არ გაგვიგონია, თუ ქართული წიგნები იბეჭდებაო! დიდად მოხარულნი დარჩნენ.

ამ დღეებში მე ვნახე ერთი მეტად ზრდილობიანი მოხუცი მაჰმადიანი, რომელიც სტამბოლში გაზრდილა, ოსმალოს სამსახურშიაც უმსახურნია და ოსმალოს მთავრობისაგან დაჯილდოებულია. ქართული წერა-კითხვაც კარგად იცის და ქართველობს კიდეც. ეს კაცი სცხოვრობს სოფ. ზენეთში და გვარად მჟავანაძე გახლავთ. სოფ. ჩაქვაში შემხვდა და მთხოვა, რომ ოსმალოს ქალაქ გონიოში მცხოვრებ ქართველ მაჰმადიანებისაგან წერილი მივიღე, ქართულს წიგნებს ითხოვენ და თუ ნებას მომცემთ, თქვენ წიგნებს ზოგს იქ გავგზავნიო. ესევე მთხოვა სოფ. ლელვის მამასახლისმა, რომ რამდენიმე წიგნი ოსმალეთში მინდა გავგზავნოო.

სოფ. მახინჯაურში-კი ბევრი არავინ აღმოჩნდა ქართულის წიგნის მცოდნე. აქ არც თათრული იციან. ისევ ქართულს უფრო წააკითხებენ ვისმეს, ვიდრე თათრულს.

ჩაქვის ხეობის სხვა სოფლებში ოსმალეთიდგან მოსული მოლები და ხოჯები ისე არ არიან მოდებულნი, როგორც კინტრიშის ხეობაზედ. აქ ყველგან აჭარელი ქართველები არიან, ამათშიაც-კი აქა-იქ მოიპოვება ისეთი ქართველი მოლები და ხოჯები, რომლებიც ოსმალეთიდგან მოსულს ფანატიკოსს ხოჯებს არაფრით ჩამოურჩებიან, მაგრამ ესენი გადასახლებისას მაინც არას ეუბნებიან.

როგორც კინტრიშის ხეობიდგან გადასახლდნენ ოსმალეთში ქართველი მაჰმადიანები, ისევე ამ ჩაქვის ხეობიდგანაც. ზოგიერთი სოფელი მთლად დაიცალა, მაგალითად, როგორც სოფ. ხალვაშენი, სადაც 20 კომლზედ მეტი ხალვაშენები სცხოვრობდნენ და დანარჩენი სხვები. მაინც ამ ხეობაზედ მოფენილია ქართველთ მაჰმადიანთა სოფლები და ზოგში საკმარისი რიცხვიც სცხოვრობს ქართველის მაჰმადიანებისა.

ამ ხეობაზედ ორი ოჯახი-ღა სცხოვრობს ქართველ ბეგების ბეჟანიძეებისა, ანუ ბეჟანიშვილებისა. თათრულად ბეჟან-ოღლებს უწოდებენ. აქაურ მცხოვრებთაგან შევიტყე, რომ ჩვენი მოძმეები ოსმალეთიდგან მწარედ მოსტირიან ჩვენს ქვეყანასაო და აღარ იციან რა ჰქმნანო. ოსმალეთში ძალიან მაგრად უჭირენ მათ ხელსაო, თორემ ჩუმ-ჩუმად სულ გარდმოიხვეწებიან აქეთ, აქ როგორმე ტყეებში დასახლდებიან და სახელმწიფოდ შერაცხავენ თავსაო. ძალიან სცდებიანო, ამან სთქვა, რომ იქით მიდიან, იქ შიმშილის მეტი სხვა არაფერი ელითო. ეს კაცი იქ ნამყოფია, იქ მყოფთ ქართველთ მდგომარეობა თავის თვალით უნახავს, მაგრამ ბევრნი აქაურნი მაინც არ იშლიან თავიანთ კერპობას და ერთთავად გადასახლებასა ჰფიქრობენ. ამ მოკლეს დროში, ერთს ქართველ მაჰმადიანს ცოლშვილი გაუპარებია და აქამდის თითონაც გაიპარებოდა, მაგრამ რაღაცა შემთხვევით საპატიმროში ჩავარდნილა. ახლა ეს განთავისუფლებას ელის და როგორც გამოვა ციხიდგან, მაშინვე ოსმალეთში გადავარდება.

ამ მოკლეს დროში სოფ. აღამბრის ფანატიკოსს და ქართულის ენის მოძულე ხოჯას ჰაჯი-უსუფ მამულაიშვილს სოფლის ხალხისთვის თუთუნის წევა აუკრძალავს. ვინც არ დასტოვებს წევას, იმას ჯამეში ალაგი არა აქვს, ის სასუფეველს ვერ დაიმკვიდრებსო. ეს ხალხს დიდად სწყენია, სასტიკად ეწინააღმდეგებიან და უთქვამთ, რომ ეგ შენი საქმე არ არისო. ეს ხოჯა ბევრს ქართველ მაჰმადიანს ჩაუნერგავს ქართულის ენის სიძულილს, ნამეტნავად იმ ბავშვებს, ვისაც ასწავლის კიდეც მედრესეში. ეს ხოჯა არაბულის წიგნების კითხვით ქართველ მაჰმადიანთა შვილებს სასტიკათ სტანჯავს.

ზ. ჭ.

## რუსეთი

პეტერბურგში 23—24 აგვისტოს ავად გახდა 103, გარდ. 39, მორჩა 76; ქ. კრონშტატში 22 აგვისტოს გარდ. 1, მორჩა 4; მთელს გუბერნიაში 23 აგვისტოს ავად გახდა 59 გარდ. 16, მორჩა 19.

მოსკოვში 22 აგვისტოს ავად გახდა 19, გარდ. 12; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 4, გარდ. 1, მორჩა 4.

ასტრახანში 22 აგვისტოს ავად გახდა 1. მთელს გუბერნიაში ავად გახდა 18, გარდ. 14, მორჩა 16.

ვლადიმერის გუბერნიაში 22 აგვისტოს ავად გახდა 1, გარდ. 1, მორჩა 5.

ვარონეჟში 22 აგვისტოს ავად გახდა 2, გარდ. 2; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 22, გარდ. 24.

ვიატკაში 22 აგვისტოს ავად გახდა 2, გარდ. 1, მორჩა 3; მთელს გუბერნიაში 15—22 აგვისტომდის შუა რიცხვით ავად ხდებოდა 152, იხოცებოდა 81, რჩებოდა 102.

ეკატერინოსლავში 22 აგვისტოს ავად გახდა 4, გარდ. 2; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 80, გარდ. 39, მორჩა 29.

ყაზანში 22 აგვასტოს ავად გახდა 13, გარდ. 1, მორჩა 9; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 40, გარდ. 32.

კიევში 22 აგვისტოს ავად გახდა 29, გარდ. 3, მორჩა 13; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 29, გარდ. 6, მორჩა 3.

კოსტრომაში 21 აგვისტოს ავად გახდა 1; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 8, გარდ. 1, მორჩა 4.

კურსკში 22 აგვისტოს ავად გახდა 7, გარდ. 2, მორჩა 2; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 12, გარდ. 7, მორჩა 3.

ლიუბლინში 22 აგვისტოს ავად გახდა 34, გარდ. 12, მორჩა 9; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 13, გარდ. 1, მორჩა 4.

ნიჟნი-ნოვგოროდში 23 აგვისტოს ავად გახდა 12, გარდ. 10, მორჩა 7; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 29, გარდ. 13, მორჩა 12.

ორენბურგში 22 აგვისტოს ავად გახდა 9, გარდ. 4, მორჩა 12; მთელს გუბერნიაში 22 აგვისტოს ავად გახდა 355, გარდ. 212, მორჩა 118.

პენზაში 22 აგვისტოს ავად გახდა 32, გარდ. 14, მორჩა 15; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 119, გარდ. 47, მორჩა 40.

პერმში 22 აგვისტოს ავად გახდა 3, მორჩა 1; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 63, გარდ. 47.

პოლტავას გუბერნიაში 21—22 აგვისტოს ავად გახდა 29, გარდ. 12.

რიაზანში 22 აგვისტოს გარდ. 1, მორჩა 1: მთელს გუბერნიაში ავად გახდა 7, გარდ. 5, მორჩა 2,

სამარაში 22 აგვისტოს ავად გახდა 4, გარდ. 1, მორჩა 12; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 593, გარდ. 277, მორჩა 402.

სარატოვში 22 აგვისტოს ავად გახდა 7, მორჩა 4; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 710, გარდ. 318; ქ. ცარიცინაში 17 აგვისტოს ავად გახდა 2, გარდ. 1, მორჩა 2.

სიმბირსკში 22 აგვისტოს ავად გახდა 1, გარდ. 1; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 120, გარდ. 68.

კერჩში და სოფლებში: 22 აგვისტოს ავად გახდა 6, გარდ. 12, მორჩა 4.

ტამბოვის გუბერნიაში 22 აგვისტოს ავად გახდა 304, გარდ. 124.

ტვერში 22 აგვისტოს გარდ. 1, მორჩა 7; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 1, გარდ. 2; ქ. უფაში 22 აგვისტოს ავად გახდა 11, გარდ. 9, მორჩა 6.

ხარკოვში 22 აგვისტოს ავად გახდა 1, მორჩა 1; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 125, გარდ. 44.

ხერსონის გუბერნიაში ავად გახდა 25, გარდ. 7, მორჩა 14.

იაროსლავში 22 აგვისტოს ავად გახდა 19, გარდ. 8, მორჩა 9; რიბინსკში ავად გახდა 10, გარდ. 5, მორჩა 7; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 7, გარდ. 2, მორჩა 3.

ნოვოჩერკასკში 20—21 აგვისტოს ავად გახდა 6, გარდ. 3, მორჩა 2; ქ. როსტოვსა ნახიჩევანში (დონისა) ავად გახდა 4, გარდ. 2, მორჩა 13; ქ. ტაგანროგში ავად გახდა 11, გარდ. 6, მორჩა 5; მთელს ოლქში ავად გახდა 653, გარდ. 295, მორჩა 457.

ეკატერინოდარში 22 აგვისტოს ავად გახდა 7, გარდ. 3; მთელს ოლქში ავად გახდა 64, გარდ. 34.

ტვერის ოლქში 22 აგვისტოს ავად გახდა 69, გარდ. 29.

ომსკში 22 აგვისტოს ავად გახდა 24, გარდ. 16; სემიპალატინსკის ოლქში ავად გახდა 6, გარდ. 4.

ტობოლსკში 22 აგვისტოს ავად გახდა 1, მორჩა 4.

ტომსკში 22 აგვისტოს ავად გახდა 8, გარდ. 12.

იმიერ-კასპიის მხარეს 18 აგვისტოს ავად გახდა 35, გარდ. 19.

თურქესტანის ოლქში 20 აგვისტოს გარდ. 62.

თეირანსა და ასტრაბადში 13—17 აგვისტოს გარდ. 7. რეშტში 17—19 აგვისტოს გარდ. 20; ენზელში იმავე დროს 7; თეირანში 18 აგვისტოს ავად გახდა 80, გარდ. 19.

## წვრილი ამბავი

აი ნამდვილი ცნობები იმის შესახებ, თუ ქვეყნის რომელს ნაწილში რამდენი ებრაელი მოსახლეობს. ევროპაში 5.400,000 ებრაელი ირიცხება, აზიაში—300,000, აფრიკაში—350,000, ამერიკაში—250,000, ავსტრალიაში—21,000. ამ სახით, საერთო რიცხვი ებრაელთა 6.312,000 კაცია, რომელნიც ამ გვარად არიან განაწილებულნი: გერმანიაში 540,000 სულია, რუსეთში—2.552,000, ავსტრი-უნგრიაში—1.644,000, საფრანგეთში—130,000, ოსმალეთში—104,000. რუმინიაში—265,000, ბოლგარიაში—10,000, შვეიცარიაში—7,000, დანიაში—4,000, სერბიაში—3,500, ბელგიასა, საბერძნეთსა და შვეციაში—3,000, ისპანიაში—1,900, გიბრალტარში—1,500, აზიის ოსმალეთში—195,000, აზიის რუსეთში — 47,000, სპარსეთში — 18,000, შუა აზიაში—14,000, ინდოეთში—19,000 ჩინეთში—1,000, აბისინიაში—200,000, მაროკკოში—60,000, ტუნისში, 50000. იმ 250,000 ებრაელთაგან, რომელნიც ამერიკაში სცხოვრობენ, 230,000 მარტო შეერთებულს შტატებში სცხოვრობს.

— ლივორნოდგან იწერებიან, რომ მასკანი, „Cavaleria Rusticana“-ს დამწერი, ვენაში მიიწვიეს სადირიჟოროდ და პასუხად მისწერა, რომ ჩემს ფეხს ავსტრიაში მხოლოდ მაშინ შევსდგამ, როდესაც ავსტრია იტალიას ტრიესტს დაუბრუნებსო.

— ინგლისში უკვე დაიბეჭდა ფოსტის ანგარიში. ამ ანგარიშიდგანა სჩანს, სხვათა შორის, რომ ფოსტით ამანათად, ქაღალდში შეხვეული და ყუთებში გამოთებული, ცხოველებიც უგზავნიათ ცოცხალი თაგვები, ბაყაყები, წურბელები და ცოფიანი ძაღლიც-კი, რომელიც ირლანდიის ერთს მამულიშვილს გაუგზავნია საჩუქრად სალიუსბერისათვის. ეს ძაღლი გზაზედვე გარდაცვლილა. ანგარიშში მოყვანილია ერთი უცნაური წერილი, პროვინციიდგან მოწერილი ფოსტათა მინისტრთან: „გაისარჯეთ, პატივცემულო ბატონო, და ბრძანება გაეცით, რომ ეს წერილი ჩემს ძმისწულს გადასცეთ. იმისი ბინა დამავიწყდა, ვიცი მხოლოდ, რომ ოქრომჭედლის დუქანში ჰმუშაობს, მდ. ტემზას იქითა ნაპირას, 23 წლისაა, მარცხენა ფეხი კოჭლი აქვს და მარცხნივ მხარესვე ორი თუ სამი კბილი აკლია“, საბრალო პროვინციელმა ალბად არ იცოდა, რომ ლონდონში ხუთი მილიონი მკვიდრია და ძნელად მოიძებნება იმისი ძმისწული, და ამიტომ წერილის ბოლოსა სწერს: იმედია, ძალიან არ გაგიჭირდებათ მისი მოძებნაო. ეს წერილი სამის თვის შემდეგ გადასცეს თურმე დანიშნულებისამებრ.

— დანციგში ამას წინად გამოჩენილ ექიმის ლავრენტი ვოლგარის სიკვდილის შემდეგ ათის წლის შესრულების დღესასწაული გადაიხადეს. ეს ვოლგარი დიდად უცნაური და ახირებული კაცი იყო. ანდერძად დასტოვა, რომ ჩემს კუბოს კლიტე გაუკეთეთ და იმ კლიტის გასაღები ხელში ჩამიდეთო. ამას გარდა, ჩემს კუბოშივე ორის დღის სანოვაგე ჩააწყეთ და ორიც პაწია ზარბაზანი მოათავსეთ, რომ თუ ვინიცობაა გამოვფხიზლდი, ხალხს შევატყობინო ეს ამბავიო.

## წერილი რედაქციის მიმართ.

საჯავახოს სოფელ კალაგონში, ღვთისმშობლის ეკკლესიის მახლობლად, რამდენისამე კაცის მეცადინეობით, დაარსდა სამრევლო სკოლა და სწავლა დაიწყო კიდეც ამ წლის იანვრიდგან. დღე-დღეობით ამ სკოლაში 35 მოსწავლე ბეჯითად სწავლობს, და გულ-მოდგინედ ეკიდებიან საქმეს, მაგრამ სიღარიბე ძლიერ უშლის ხელს პაწია ყმაწვილების ახლად გაღვიძებულს სწავლისა სურვილს. მოსწავლეებს ხშირად არა აქვთ ზოგს წიგნი, ზოგს ყარანდაში და კალამი, ზოგს რვეული და, რა, საკვირველია, ამისთანა გარემოება სწავლის წარმატებას აბრკოლებს. ჩვენს სოფელში სკოლა ახალი საქმეა და ამ დასაწყისშივე არის საჭირო მეცადინეობა და საშუალება, რომ სწავლის საქმე რიგიანად წავიდეს და ხალხმა სასწავლებელზედ გული არ აიცრუვოს.

უმორჩილესად ვთხოვ ყველას, ვისაც გული შესტკივა ხალხის სწავლა-განათლებისათვის, აღმოუჩინონ ზემოხსენებულ სკოლას თვისი დახმარება ფულით თუ სასწავლო ნივთებით და შეწირულებანი გადასცენ—თფილისში სამსონ ნიკოლოზის ძეს ხუნდაძეს, (გოლოვინის პროსპექტი, სასტუმრო „გურია“,) და ქუთაისში სილოვან თომას ძეს ხუნდაძეს.

საჯავახოს სოფელ-კალაგონის სამრევლო სკოლის მასწავლებელი მიტროფანე ალექსის ძე ხუნდაძე.

## დეპეშა

29 აგვისტო

**პეტერბურგი.** მათნი იმპერატორებითნი უდიდებულესობანი მემკვიდრე ცესარევიჩი და დიდი მთავრინა ქსენია ალექსანდრეს ასული გუშინ მოვიდნენ ივანგოროდს.

პოლიციის დეპარტამენტი აცხადებს: გერმანიის მთავრობამ განკარგულება გასცა, რომ ვერჟბოლოვოში არ შეუშვან ის გადასახლებულნი, რომელნიც რუსეთიდგან მიდიან გამბურგსა და ბრემენზედ ამერიკაშიო.

„Новое Время“ იუწყება, რომ სრული სამოსამართლო ცვლილება იქმნება შემოღებული ასტრახანის გუბერნიაშიო, ესე იგი ნაფიცი მოსამართლეებიც იქმნებიანო. ამ საქმის დასამთავრებელი მუშაობა უკვე სწარმოებს.

**ვენუა.** დღეს მეფესთან იყო საფრანგეთის ადმირალი რუნიე, რომელმაც კარნოს წერილი გადასცა, მისის საკუთარის ხელითვე ნაწერი. ხალხი ადმირალს შემდეგის ძახილით მიეგება: „გაუმარჯოს საფრანგეთსაო“. ადმირალის სალამს შემდეგ, მეფემ უპასუხა: „ბ-ნ კარნოს მოკითხვა-სალამსა და სიკეთის მოსურვებას მე და ჩემი ერი დიდს ფასსა ვსდებთ. საფრანგეთის მთავრობამ მოგვცა ჩვენ საბუთი მეგობრობისა, რომელიც ძვირად გვიღირს და რომელიც სრულიად ეთანხმება ჩვენს სა-

კუთარს საფრანგეთის მიმართ გრძნობასო“.

**ბომბეი.** ამბობენ, რომ ემირი დასთანხმდა მიეგებოს ინდოეთის მისსიას ჯელალ-აბადში.

შავი მთის მეამბოხეთა მეთაურმა ჰაჯი-მარმა წერილი გამოგზავნა მორჩილებისა; ხოლო ამ წერილში ისეთი წინადადებაც არის მოქცეული, რომლის შესრულებაც არ შეიძლება. ინდოეთის მთავრობამ უპასუხა, რომ თუ ჰაჯი-მარი არ დაჰმორჩილდება იმ პირობებს, რომელიც გამოცხადებული აქვს, 1 ოქტომბერს გენერალი დოკერტი ბრძოლის ველად გავაო.

მაჰმად-ნაზიმი, რომელიც ტახტიდგან ჩამოგდებულ ჰუნზამ-ხინას ადგილას არის დანიშნული, მომავალს კვირას დიდის ამბით იქმნება ჰუნზასთა ქვეყნის მბრძანებლად აღიარებული.

30 აგვისტო

**პეტერბურგი.** „Нов. Время“ იუწყება: ოვსიანიკოვის შუამდგომლობა, რომ საქმე გადატანილ იქმნას სენატის მეორე საზოგადო კრებაში, სენატმა არ შეიწყნარა და ბრალმდებელმა უკვე განკარგულება მისცა, გამოძიება მოახდინეთო.

**პარიჟი.** რადგან სიცხემ ძალიან იკლო და წვიმამ უმატა, ბ-ნს გირსს კვლავ დაეწყო მცირე ციებ-ცხელება და ღვიძლის ტკივილი ისევე აუვარდა.

**ვაშინგტონი.** პრეზიდენტმა გარრისონმა გამოაცხადა, რომ სახომალდო საზოგადოებანი თუ კიდევ მოიყვანენ აქეთ გადმოსახლების მსურველთ, იძულებულ ვიქმნებით, სრულიად ავუკრძალოთ მათი შეერთებულს შტატებში მოსვლაო.

პეტერბურგის ბირჟა, 28 აგვისტო.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,86 | 7,89 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | $157^{1}/_{4}$ | 158 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1,08 | 1,10 | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — ,, | — ,, | $236^{1}/_{2}$ |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 221 |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | — ,, | — ,, | 193 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6%. . . . . . . | $102^{1}/_{4}$ | — ,, | — ,, |
| 5%. . . . . . . | 99,87 | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6%. | $102^{1}/_{4}$ | — ,, | — ,, |
| 5%. . . . . . . | 99,87 | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 98,12 | — ,, | — ,, |


# განცხადებანი

## კბილის ექიმი
## ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

შუადღის 12-დგან ნაშუადღევის 2 საათამდე.

საღამოთი 5-დგან 7 საათამდე.

კვირა-უქმე დღეებში

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 1 საათამდე. (150—100)


# ბ ა ლ ა ნ ს ი

ქუთაისის სათავად-აზნაურო სააღგილ-მამულო ბანკისა 1 მკათათვისათვის 1892 წლისა

**აქტივი**

| | მან. | კაპ. | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|---|
| კასსა: ნაღდი ფული. . . . . . | 18,292 | 13 | | |
| გირაოს ფურცლებით. . . . . . | 83,100 | „ | 101,392 | 13 |
| ფული მიმდინარე ანგერიშებზე: | | | | |
| ა) სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილებაში . . . . . | 3,933 | 39 | | |
| ბ) ტფილისის სავაჭრო ბანკში. . | 328 | 71 | | |
| გ) ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგალოებაში . . . . . | 35,928 | 09 | | |
| დ) კორრესპონდენტებთან . . . | 204,781 | 91 | 244,972 | 10 |
| საწევრო ფული ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებაში. . . | — | — | 30 | „ |
| სახელმწიფო სარგებლიანი ქაღალდები, შენახულნი სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილებაში: | | | | |
| ა) უზრუნველ-საყოფლად გირაოს ფურცლების გამოცემისა (წესდებისა § 50) . . (220,000) | 202,922 | 87 | | |
| ბ) ტირაჟში გამოსულთა გირაოს ფურცელთა ღ კუპონთა (50,000) | 46,763 | 80 | | |
| გ) სათადარიგო თანხის სასაკუთრონი . . . . . . (60,000) | 56,859 | 89 | 306,546 | 56 |
| სხვა სარგებლიანი ქაღალდები ბანკის კასაში: | | | | |
| ა) ქუთაისის ბანკ. სასაკუთრონი . | 42,974 | 36 | | |
| ბ) სათადარიგო თანხაში ჩარიცხული . . . . . . . . . | 4,429 | 60 | 47,403 | 96 |
| სახელმწიფო სარგებლიანის ქაღალდების სარგებელი 1 ივლისამდე 1892 წლისა . . . . . . . . | — | — | 8,743 | 05 |
| სესხნი გასაცემად დანიშნულნი. . . | — | — | 39,400 | „ |
| სესხნი: ა) სოფლის ადგილ-მამულებზე. | 1.439,000 | „ | | |
| ბ) ქალაქის მამულებზედ . . . | 1.839,700 | „ | 3.278,700 | „ |
| გ) მოკლე ვადიანი სესხნი . . . | — | — | 150,490 | „ |
| გირაოს ფურცელნი, მოსასპობლად შემოსულნი . . . . . . . | — | — | 1,000 | „ |
| ვადამდე დახურდავებული კუპონები. | — | — | 22,105 | 50 |
| სხვა-და-სხვა დებიტორები . . . . | — | — | 21,224 | 92 |
| დასაბრუნებელი ხარჯები . . . . | — | — | 103,239 | 81 |
| ხარჯები: ა) ბანკის მოწყობა-მორთულობაზედ . . . . . . . . | — | — | 1,664 | 92 |
| ბ) მართვა-გამგეობისა. . . . . | 15,204 | 40 | | |
| გ) არა-ჩვეულობრივი. . . . . | 11,859 | 54 | 27,063 | 94 |
| მსესხებ. შელ. გად. { დიდ ვად. სესხ. | 154,847 | 89 | | |
| { მოკ. ვად. სესხ. | 6,537 | 54 | | |
| ვადა გას. შე. ფუ. { დიდ ვად. სესხ. | 102,878 | 57 | | |
| { მცირე ვად. სესხ. | 4,207 | 28 | | |
| ჯარიმა . . . . . . . . . . | 9,085 | 45 | 277,556 | 73 |
| 3% გარდასახადი მოგებიდგან . . . | — | — | 469 | 01 |
| გერბის გარდასახადი . . . . . . | — | — | 155 | 40 |
| ტალონები გირავნობის ფურცელთა . | — | — | 4,300 | „ |
| კუპონების ოცის წლის გირავნობის ფურცელთა . . . . . . | — | — | 6,576 | „ |
| **ბ ა ლ ა ნ ს ი** | — | — | 4.643,034 | 03 |

**პასსივი**

| | მან. | კაპ. | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|---|
| ძირეული თავნი . . . . . . . | — | — | 564,230 | 68 |
| სათადარიგო თანხა . . . . . . | — | — | 72,138 | 99 |
| საზოგადო საჭიროების თანხა . . . | — | — | 8,486 | 77 |
| გირაოს ფურც. გამ. { $48^{8}/_{12}$ წ. . . | 14,800 | „ | | |
| { $19^{11}/_{12}$ წ. . . | 24,600 | „ | 39,400 | „ |
| გირ. ფურ. მსვ. მყო. { $43^{1}/_{2}$ წ. . | 1.237,100 | „ | | |
| { $48^{8}/_{12}$ წ. . | 201,900 | „ | | |
| { $18^{7}/_{12}$ წ. . | 1.532,400 | „ | | |
| { $19^{11}/_{12}$ წ. . | 307,300 | „ | 3.278,700 | „ |
| თან. სესხ. მოსსაპო. { $43^{1}/_{2}$ წ. . | 6,073 | 14 | | |
| { $48^{8}/_{12}$ წ. . | 582 | 02 | | |
| { $18^{7}/_{12}$ წ. . | 57,380 | 97 | | |
| { $19^{11}/_{12}$ წ. . | 5,220 | 33 | 69,256 | 46 |
| თანხა სარგებლისა: { 5%-იან სესხი. | 12,730 | „ | | |
| { 6%-იანისა. . | 83,085 | „ | 95,815 | „ |
| მომავალი გადასახადი . . . . . | — | — | 109 | 50 |
| ფული გადადებული საზღვეველად: | | | | |
| ა) გირაოს ფურცელთა ტირაჟში გამოსულთა . . . . . . . . | 219,800 | „ | | |
| ბ) 1 ივლისის 1892 წლის ვადის | | | | |
| გირაოს ფურც. კუპონები 102,905-50 | 219,800 | „ | | |
| გ) წინანდელის ვადებისა . . 462 | 103,367 | 50 | 323,167 | 50 |
| ვადამდე გამოსპობილნი სესხნი: | | | | |
| ა) ნაღდის ფულით { $43^{1}/_{2}$ წ. . . | 385 | 74 | | |
| { $18^{7}/_{12}$ წ. . . | 5,365 | 33 | | |
| { 19 წ. . . . | 197 | „ | 5,948 | 07 |
| ბ) გირაოს ფურცლებით $18^{7}/_{12}$ წ. | — | — | 1,000 | „ |
| კომისია და კურტაჟისა . . . . . | 116 | 95 | | |
| სარგებელი მოკლე ვადიანთა სესხთა . | 13,655 | 81 | | |
| ჯარიმა. . . . . . . . . . . | 10,948 | 27 | | |
| სხვა-და-სხვა სარგებელი . . . . . | 13,352 | 91 | | |
| ერთ-დროებითი შემოსატანი ფული . | 687 | 03 | | |
| ყოველ წლიური შემოსატანი ფული ბანკის ხარჯების დასაფარავად, საზოგადო საჭიროებათა თანხის შესადგენად და სხვა. . . . . | 42,449 | 50 | 81,210 | 47 |
| გადამავალი ჯამი . . . . . . . | — | — | 6,194 | 47 |
| სარგებლიანი ქაღალდები კასაში: | | | | |
| ა) შესანახავად . . . . . . . | 22,400 | „ | | |
| ბ) ბანკის სასაკუთრონი და სხვ. . | 60,700 | „ | 83,100 | „ |
| სხვა-და-სხვა კრედიტორები . . . . | — | — | 2,100 | 34 |
| ცეცხლისაგან ზარალის საზღვევი გადასახადი . . . . . . . . | — | — | 222 | 27 |
| გამოსაცვლელი კუპონის ფურცლები. | — | — | 6,576 | „ |
| ძველი ტალონები მოსასპობ გირავნობის ფურცელთა . . . . . . | — | — | 4,300 | „ |
| 5% სახელმწიფო ლალა . , . . . | — | — | 1,077 | 51 |
| **ბ ა ლ ა ნ ს ი** | — | — | 4.643.034 | 03 |

Дозв. ценз. Тифлисъ, 31-го Августа 1892 г. სტამბა მ. შარაძისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.